დანართი №1

სსიპ კოლეჯი „თეთნულდი“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის „ინფორმაციის ტექნოლოგიები“ მონიტორინგის ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა;

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: **მიმოზა ღოლიჯაშვილი**
წევრები: **ალექსანდრე კეკენაძე**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **სსიპ კოლეჯი „თეთნულდი“**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ)**

საიდენტიფიკაციო კოდი: **235891512**

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

■ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ არაგეგმიური

■ საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ კოლეჯი თეთნულდის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის „ინფორმაციის ტექნოლოგიები“, მონიტორინგის ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ 2026 წლის 24 ივნისს განხორციელდა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი კოლეჯ „თეთნულდში“; ვზიტის საფუძველს წარმოადგენდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 03 სექტემბრის სხდომის ოქმი, რომლის დროსაც დაწესებულების ავტორიზაცია (განმეორებითი) ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით დაწესებულება 2.4. ინდიკატორთან მიმართებით შეფასებული იყო „მეტწილ შესაბამისად“. მიმდინარე მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში შესწავლილი იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, კერძოდ: 2.4.2.1 ინდიკატორის ფარგლებში ვალიდაციის მექანიზმების გადახედვის, სრულყოფისა და პროცედურის შესაბამისად შესრულების პროცესი, რის საფუძველზეც ინდიკატორი შეფასდა „სრულ შესაბამისობაში“; ამასთანავე, მონიტორინგის პროცესში შესწავლილ იქნა გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შედეგები 2.4.2.2 ინდიკატორის ფარგლებში დაფიქსირებული შეუსაბამობის აღმოფხვრის მიმართულებით, სადაც ადგილზე გადამოწმდა ვერიფიკაციის მექანიზმის გადახედვისა და სრულყოფის პრაქტიკა, რის საფუძველზეც აღნიშნული ინდიკატორიც შეფასდა „სრულ შესაბამისობაში“. ექსპერტთა ჯგუფის მიერ დათვალიერდა კოლეჯის ინფრასტრუქტურა და სასწავლო გარემო, სადაც მიმდინარეობს აღნიშნულ პროგრამაზე სწავლება; ვიზიტის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნო ვიზიტის ძირითადი მიგნებები.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების საკითხები, კერძოდ:

№	წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციის აღწერა	ინფორმაცია შესრულების შესახებ
2.4.2.1	ინდიკატორი 2.4.2.1. დაწესებულებამ დამატებითი წერილით (ცენტრში რეგისტრაციის №991841) წარმოადგინა განახლებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლითაც გათვალიწინებულია აქტივობები 2.4.2.1 ინდიკატორის ფარგლებში დაფიქსირებული	მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი და დეტალურად შესწავლილი დოკუმენტაციის საფუძველზე დასტურდება, რომ სსიპ კოლეჯ „თეთნულდში“ პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა სრულად ითვალისწინებს ვერიფიკაციის ქმედით, გამჭვირვალე და ციკლურ მექანიზმს. აღნიშნული პროცესი ხორციელდება დადგენილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით 2025 წლის 1 ნოემბრამდე. დაწესებულება უზრუნველყოფს ვალიდაციის მექანიზმების გადახედვას, სრულყოფას და პროცედურის შესაბამისად აღსრულებას. რეკომენდირებულია დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში განახორციელოს დაგეგმილი აქტივობები. **დაწესებულება „მეტწილ შესაბამისობაშია“ ინდიკატორის მოთხოვნებთან.**	პროცედურებისა და გეგმის შესაბამისად, რაც დასტურდება მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე შემუშავებული და კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 27 მაისის №02/32 ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტით — „შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმები“. პროცესის შესაბამისობა ასევე დასტურდება განმახორციელებლებთან ჩატარებული ინტერვიუებითა და წარმოდგენილი მტკიცებულებებით, კერძოდ: ვერიფიკაციის სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმებით, შეფასების უწყისის ფორმებით, ადმინისტრაციის წევრებისა და პროფესიული მასწავლებლების სამუშაო შეხვედრის დასწრების ფურცლით, ხარისხის მართვის მენეჯერის ვერიფიკაციის ანგარიშითა და პროგრამის — „ინფორმაციული ტექნოლოგიები“ ვერიფიკაციის დასკვნით. აღნიშნული დოკუმენტაცია სრულად პასუხობს „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნებს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
2.4.2.2	ინდიკატორი 2.4.2.2 დაწესებულებამ დამატებითი წერილით (ცენტრში რეგისტრაციის №991841) წარმოადგინა განახლებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლითაც გათვალიწინებულია აქტივობები 2.4.2.2 ინდიკატორის ფარგლებში დაფიქსირებული შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით 2025 წლის 1 ოქტომბრამდე. დაწესებულება უზრუნველყოფს ვერიფიკაციის მექანიზმის გადახედვას და სრულყოფას. რეკომენდირებულია დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში განახორციელოს დაგეგმილი აქტივობები. **დაწესებულება „მეტწილ შესაბამისობაშია“ ინდიკატორის მოთხოვნებთან.**	დაწესებულებამ წარმოადგინა სსიპ კოლეჯი „თეთნულდი“ დირექტორის 2026 წლის 27 მაისის №02/32 ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტი — „შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმები“ და 2026 წლის 27 მაისის №02/31 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და კვლევის მეთოდოლოგია“. დოკუმენტური ანალიზი, ჩატარებული ინტერვიუები და წარმოდგენილი მტკიცებულებები სრულად პასუხობს „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნებს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

ინფორმაცია ივსება მხოლოდ მიმდინარე პროგრამების მიხედვით მონიტორინგის დროს ან წარმოების მიზნებიდან გამომდინარე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეწყვეტილი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
„ინფორმაციის ტექნოლოგიები“	30	8	-	6

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, მოიყვანოთ საუკეთესო გამოცდილების მაგალითი(ებ)ი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

არ გამოვლენილა;

ნაწილი II: სტანდარტებთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

II. პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
„ინფორმაციის ტექნოლოგია“	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ დაფიქსირებულა

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

შესაბამისობის რეკომენდაციები არ გაცემულა.

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

განმავითარებელი რეკომენდაციები არ გაცემულა.

VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

2026 წლის 13 ივლისს ექსპერტთა ჯგუფს წარედგინა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია. წერილის თანახმად, სსიპ – კოლეჯი „თეთნულდი“ გაეცნო დასკვნის პროექტს, სრულად ეთანხმება მასში ასახულ ფაქტობრივ გარემოებებსა და ექსპერტთა შეფასებებს და დამატებითი შენიშვნები არ გააჩნია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი III: *ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ*

I. ზოგადი ინფორმაცია

ცხრილი ივსება ცალ-ცალკე თითოეული პროგრამისა და ასევე, პროგრამის განხორციელების ადგილის და ენის მიხედვით. (ინდივიდუალურ პროგრამებად განიხილება განხორციელების ადგილისა და სწავლების ენის მიხედვით განსხვავებული პროგრამები. მაქსიმუმ 15 პროგრამა)

პროგრამის სახელწოდება	ინფორმაციის ტექნოლოგია
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	მესტია,ე. ფარჯიანის ქ N25
პროგრამის სწავლების ფორმა (დუალური/კოოპერაციული/იმიტირებულ გარემოში)	კოოპერაციული
დაწესებულების მიერ პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე)	30
აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, სწავლების ფორმის შესაბამისად, მათ შორის ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში)	-
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე)	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	80
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	95

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუ არ ეთანხმებით დაწესებულების მიერ მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, გთხოვთ, დაასაბუთოთ:

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

სსიპ პროფესიული კოლეჯი „თეთნულდი“ დირექტორის 2025 წლის 25 თებერვლის № 02/15 ბრძანებით დამტკიცებულია „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (სარეგისტრაციო ნომერი: 06112-პ). პროგრამის სრულფასოვანი და გამართული რეალიზაციის მიზნით, შემუშავებულია შესაბამისი სასწავლო გეგმა (საათობრივი ბადე) 2025-2026 სასწავლო წლისთვის; დოკუმენტაციის დეტალური ანალიზით დგინდება, რომ წარმოდგენილი სასწავლო გეგმა სრულ თანხვედრაშია პროგრამის ძირითად ჩარჩო დოკუმენტთან. კერძოდ:

- ✓ **სასწავლო დროის განაწილება და ხანგრძლივობა:** პროგრამით განსაზღვრული მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის შეადგენს 61 კრედიტს, რაც გადანაწილებულია 42 სასწავლო კვირაზე (10 თვე). სასწავლო გეგმის საათობრივი მატრიცა ზუსტად მიჰყვება აღნიშნულ პერიოდს და დეტალურად ასახავს როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელ და შეფასების საათებს კვირების ჭრილში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ✓ **მოდულების სტრუქტურა და კრედიტები:** სასწავლო გეგმაში სრულად არის ინტეგრირებული პროგრამით გათვალისწინებული ყველა კომპონენტი:
- ✓ **ზოგადი მოდულები:** გათვალისწინებულია 6 ზოგადი მოდული (ინფორმაციული წიგნიერება 1, ინტერპერსონალური კომუნიკაცია, რაოდენობრივი წიგნიერება, მეწარმეობა 1, სამოქალაქო განათლება, უცხოური ენა).

სავალდებულო პროფესიული მოდულები: სასწავლო გეგმაში ასახულია კომპიუტერისა და პერიფერიული მოწყობილობების აპარატურული უზრუნველყოფა, პროგრამული უზრუნველყოფა, კომპიუტერული ქსელის ორგანიზების პრინციპები, უსაფრთხოება და პრობლემების აღმოფხვრა, ასევე მობილური, Linux და OS X ოპერაციული სისტემები.

სპეციფიკური პროფესიული კომპონენტები: გეგმა მოიცავს გაცნობით პრაქტიკას, პრაქტიკულ პროექტსა და დარგობრივ ინგლისურ ენას (IT Support).

დაშვების წინაპირობები და თანმიმდევრობა: სასწავლო გეგმაში დაცულია მოდულების სწავლების ლოგიკური თანმიმდევრობა და წინაპირობები. მაგალითად, მოდული „პრაქტიკული პროექტი - ინფორმაციის ტექნოლოგიების მხარდამჭერი“ გაწერილია ბოლო კვირებში (სასწავლო კვირა: 39-42), მისი დაშვების წინაპირობად კი განსაზღვრულია ყველა ძირითადი პროფესიული მოდულის გავლა, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის მიერ კომპეტენციების ეტაპობრივ დაგროვებას.

დაწესებულებაში სასწავლო პროცესი წარიმართება საჯაროდ გამოკრული და პროფესიული სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი განრიგის მიხედვით. „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ საგანმანათლებლო პროგრამისთვის შემუშავებული სასწავლო გეგმები ითვალისწინებს როგორც ქართულენოვანი, ისე არაქართულენოვანი სტუდენტების საჭიროებებს. დოკუმენტაციის შემოწმებით დგინდება, რომ საათობრივი ბადე სრულად უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეტაპობრივ და ლოგიკურ განვითარებას. მოდულების განრიგის დაგეგმვისას დაცულია ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული დაშვების წინაპირობები. გარდა ამისა, გეგმა ოპტიმალურად აბალანსებს სტუდენტთა ყოველკვირეულ დატვირთვას და რეალისტურად განსაზღვრავს სათანადო დროის შუალედებს სწავლის შედეგების განმეორებითი შეფასებისთვის.

წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და დოკუმენტაციის ანალიზის, ასევე პერსონალთან გასაუბრების შედეგად, პროგრამის განხორციელების სტრუქტურა, მოდულების საათობრივი განაწილება, კრედიტების მოცულობა და სწავლების თანმიმდევრობა სრულად შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.4.1.1. დაკმაყოფილებულია;

2.პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

კოლეჯში ჩამოყალიბებულია სტუდენტზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემო, რაც დასტურდება სასწავლო პროცესის მარეგულირებელი შიდა სამართლებრივი აქტებით. დაწესებულებაში მოქმედებს მიღებისა და სწავლების მართვის გამართული წესი, რომელიც პირველ ადგილზე აყენებს პროფესიული სტუდენტის უფლებებისა და ინტერესების დაცვას. სტუდენტთა საჭიროებების დროული იდენტიფიცირებისთვის, კოლეჯი ახორციელებს სასწავლო პროცესის უწყვეტ მონიტორინგსა და მუდმივ უკუკავშირს, რაც შემხვედრ გამოწვევებზე ოპერატიული რეაგირების შესაძლებლობას იძლევა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს; სსიპ კოლეჯი „თეთნულდი“ „პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის, სტატუსის მოპოვებისა და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში“ (დამტკიცებულია: სსიპ კოლეჯის ,,თეთნულდი“ დირექტორის 2026 წლის 27 მაისი, ბრძანება N02/30), ეტალურად არის გაწერილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) შემუშავების პროცედურა, რაც უზრუნველყოფს თითოეული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას. გარდა ამისა, დოკუმენტი ითვალისწინებს ფორსმაჟორულ სიტუაციებში (მაგალითად, პროგრამის გაუქმებისას) სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მყარ გარანტიებს და განსაზღვრავს შიდა და გარე მობილობის მოქნილ მექანიზმებს.

სასწავლო პროცესის ობიექტურობა და მიუკერძოებლობა გარანტირებულია დაწესებულებაში მოქმედი შეფასებისა და ვერიფიკაციის სისტემებით. სტუდენტთა მხარდასაჭერად რეგულარულად ტარდება პროფესიული განათლების მასწავლებლების საკონსულტაციო შეხვედრები. ასევე, დანერგილია ინდივიდუალური მეცადინეობის სერვისი, რომლითაც სტუდენტს ან სტუდენტთა ჯგუფს შეუძლია ისარგებლოს წერილობითი მომართვის საფუძველზე, თუ სტანდარტული სასწავლო დატვირთვა არ აღმოჩნდა საკმარისი კომპეტენციების დასადასტურებლად. აღნიშნულ პროცესს კოორდინაციას უწევს სასწავლო პროცესის მენეჯერი მხარეებს შორის შეთანხმებული გრაფიკით. კოლეჯის მოქნილობასა და სტუდენტზე ორიენტირებულობას დამატებით ადასტურებს საფუძვლიანი მოთხოვნის შემთხვევაში სტუდენტის სხვა სასწავლო ჯგუფში გადაყვანის (ჯგუფის შეცვლის) პრაქტიკაც.

მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგად დადასტურდა, რომ კოლეჯი მაქსიმალურად უწყობს ხელს მათ სასწავლო პროცესში ჩართულობას. ვინაიდან სტუდენტთა გარკვეული ნაწილი პარალელურ რეჟიმში წარმოადგენს საჯარო სკოლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლეებს, დაწესებულების ადმინისტრაციის მხრიდან დეტალურად იქნა შესწავლილი და გათვალისწინებული მათი საჭიროებები. აღნიშნულის საფუძველზე, სასწავლო პროცესის დაწყების დრო და გრაფიკი იმგვარად არის ადაპტირებული, რომ ხელი არ შეეშალოს მათ ზოგად განათლებას და უზრუნველყოფილ იქნას ორივე საფეხურზე სრულფასოვანი სწავლის შესაძლებლობა.

დაწესებულებაში არსებული მექანიზმები, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი და სტუდენტური სერვისები სრულად პასუხობს პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებს და უზრუნველყოფს მათ საჭიროებებზე დროულ და ეფექტურ რეაგირებას.

ინდიკატორი 2.4.1.2. დაკმაყოფილებულია;

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

კოლეჯში საგანმანათლებლო პროცესი დაგეგმილია ინოვაციური მიდგომებისა და დარგობრივი ტექნოლოგიური მიღწევების ინტეგრირებით. საგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, სადაც თითოეულ პროფესიულ სტუდენტს აქვს ინდივიდუალური წვდომა როგორც პერსონალურ კომპიუტერებთან და ლიცენზირებულ პროგრამულ უზრუნველყოფასთან, ისე საჭირო სასწავლო-მეთოდურ რესურსებთან. პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროფესიული განათლების მასწავლებლები სწავლება-სწავლის პროცესში აქტიურად იყენებენ ინტერაქტიულ და თანამედროვე მეთოდოლოგიებს. აღსანიშნავია, რომ სასწავლო გარემო სრულად არის აღჭურვილი საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროს შესაბამისი ტექნიკით. ტექნოლოგიური კომპონენტების გამოყენება ასევე ვლინდება სტუდენტთა კომპეტენციების შეფასების ეტაპზეც; კერძოდ, საგამოცდო პროცესები ორგანიზებულია ელექტრონული ფორმატით, საერთაშორისოდ აღიარებული Cisco-ს პლატფორმის ბაზაზე, რაც უზრუნველყოფს შეფასების ობიექტურობასა და გამჭვირვალობას.

სასწავლო პროცესში დანერგილი მეთოდოლოგია, მატერიალური აღჭურვილობა და საგამოცდო სისტემა სრულად პასუხობს დარგის თანამედროვე მოთხოვნებს და ორიენტირებულია სტუდენტებში აქტუალური პრაქტიკული უნარების განვითარებაზე.

ინდიკატორი 2.4.1.3. დაკმაყოფილებულია;

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები; საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოქმედებს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების მხარდაჭერის მყარი სისტემა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სსიპ კოლეჯი „თეთნულდი“ „პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის, სტატუსის მოპოვებისა და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში“ (დამტკიცებულია: სსიპ კოლეჯის ,,თეთნულდი“ დირექტორის 2026 წლის 27 მაისი, ბრძანება N02/30), გაწერილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) შემუშავების მკაფიო პროცედურა, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტთა ხელშეწყობას სხვადასხვა სპეციფიკური გარემოებების წარმოშობისას (თავი VIII ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, მუხლი 30. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება); კერძოდ, ისგ-ის ფორმირების საფუძვლებს განეკუთვნება:

- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები: სსსმ პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერა, რომლებიც პროგრამის ფარგლებში ვერ აღწევენ დადგენილ სწავლის შედეგებს (პროცესში კანონიერი წარმომადგენლის ან მხარდამჭერის ჩართულობის შესაძლებლობით);
- აკადემიური მობილობა: სხვა დაწესებულებიდან გადმოსული პირების სასწავლო პროგრამებს შორის არსებული განსხვავებების/ცდომილებების დაბალანსება;
- სტატუსის აღდგენა: იმ სტუდენტების სასწავლო პროცესში ინტეგრაცია, რომელთაც ერთ თვეზე მეტი ვადით ჰქონდათ შეჩერებული პროფესიული სტუდენტის სტატუსი;
- აღიარების პროცესები: წინმსწრები ფორმალური ან არაფორმალური განათლების აღიარების შემდგომი აკადემიური ადაპტაცია;
- სასწავლო პროცესში დაგვიანებით ჩართვა: იმ პირთა ხელშეწყობა, რომლებიც ობიექტური მიზეზების გამო მოგვიანებით შემოუერთდნენ ჯგუფს.

გარდა ამისა, მოქმედებს სასწავლო რესურსებთან ადაპტაციის ეფექტური მექანიზმი: პირველად დახმარებას სტუდენტს უწევს პროფესიული განათლების მასწავლებელი, ხოლო დამატებითი სპეციფიკური საჭიროების გამოკვეთისას, მასწავლებლის მიმართვის საფუძველზე, კოლეჯის დირექტორის გადაწყვეტილებით იქმნება სპეციალური სამუშაო ჯგუფი და ნაწილდება შესაბამისი პასუხისმგებლობები.

აღსანიშნავია, რომ მოცემულ ეტაპზე კოლეჯში ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პრაქტიკული პრეცედენტი (საჭიროების არარსებობის გამო) არ დაფიქსირებულა, თუმცა დაწესებულება სრულად ფლობს და ინარჩუნებს ამ პროცესის მართვისთვის აუცილებელ ყველა სამართლებრივ და პროცედურულ ინსტრუმენტს.

დაწესებულების მიერ განსაზღვრული პროცედურები და მხარდაჭერის მექანიზმები უზრუნველყოფს სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების სრულფასოვან გათვალისწინებას პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის პროცესში.

ინდიკატორი 2.4.1.4. დაკმაყოფილებულია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

„ინფორმაციის ტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამი არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს. პროგრამის სტრუქტურიდან გამომდინარე, ყველა სასწავლო პროცესი და პრაქტიკული კომპონენტი სრულად მიმდინარეობს კოლეჯის ბაზაზე არსებულ იმიტირებულ გარემოში, შესაბამისად 2.4.1.5. ინდიკატორი შეფასდა სრულ შესაბამისად;

ინდიკატორი 2.4.1.5. დაკმაყოფილებულია;

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

„ინფორმაციის ტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სრულიად უსაფრთხო, მოწესრიგებულ და დაცულ საგანმანათლებლო და სამუშაო გარემოში. სასწავლო სივრცეები, სადაც სტუდენტებს უწევთ ელექტრომოწყობილობებთან, კომპიუტერულ ტექნიკასა და ქსელურ ინფრასტრუქტურასთან მუშაობა, აღჭურვილია შესაბამისი დამცავი მექანზმებითა და უსაფრთხოების ნორმები დაცულია. მიუხედავად იმისა, რომ „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ პროფესიული პროგრამა არ მოიცავს მაღალი რისკის შემცველ აქტივობებს, დაწესებულება მაინც მაქსიმალურად უზრუნველყოფს პრევენციულ ზომებს პრაქტიკული მეცადინეობებისას. კერძოდ, კომპიუტერული ტექნიკის აპარატურულ ნაწილთან მუშაობისას, სტუდენტების დაცვისა და ტექნოლოგიური დაზიანებების (სტატიკური ელექტროობის) თავიდან აცილების მიზნით, სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება სპეციალური ინვენტარი: ანტისტატიკური ხალიჩები, დამცავი სამაჯურები და სათვალეები.

კოლეჯში ჩამოყალიბებულია შრომისა და სახანძრო უსაფრთხოების მართვის გამართული სისტემა. საგანმანათლებლო დაწესებულებას შემუშავებული აქვს შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა (სსიპ კოლეჯის ,,თეთნულდი“ „საგანგებო მართვის გეგმა“- შემუშავებულია სსიპ კოლეჯის ,,თეთნულდი“ საგანგებო შტაბის წევრების მიერ და დამტკიცებულია სსიპ კოლეჯის ,,თეთნულდი“ დირექტორის მ/შ 2025 წლის 16 ივნისი, №02/62 ბრძანებით), რომელიც დეტალურად განსაზღვრავს რისკების პრევენციის მექანიზმებსა და ორგანიზაციის სამართლებრივ ვალდებულებებს. კოლეჯი თანამშრომლობს სათანადო კვალიფიკაციის მქონე შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შენობის ყველა სართულზე, თვალსაჩინო და ადვილად მისადგომ ადგილებზე განთავსებულია საევაკუაციო გეგმები, პირველადი სამედიცინო დახმარების აფთიაქი და პირველადი ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი (ცეცხლმაქრები). აღნიშნული მექანიზმები უზრუნველყოფს ფორსმაჟორულ სიტუაციებში პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების ორგანიზებულ, უსაფრთხო მოქმედებას და გარანტირებულად ქმნის დაცულ სასწავლო/სამუშაო გარემოს.

ინდიკატორი 2.4.1.6. დაკმაყოფილებულია;

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- ✓ სასწავლო პროგრამა (დამტკიცებული სსიპ კოლეჯის „თეთნულდი“ დირექტორის2025 წლის 25 თებერვლის № 02/15 ბრძანებით);
- ✓ სასწავლო გეგმა - ინფორმაციის ტექნოლოგიები (დანართი 19);
- ✓ ფოკუს ჯგუფის კითხვარი სტუდენტებისთვის შეფასების პროცესის ვერიფიკაციის ნაწილში;
- ✓ ვერიფიკაციის დასკვნები;
- ✓ ხარვეზის აღმოფხვრის და გაუმჯობესების გეგმა (დამტკიცევულია სსიპ კოლეჯის „თეთნულდი“ დირექტორის 2026 წლის 22 მაისის №02.27 ბრძანებით);
- ✓ სსიპ კოლეჯი „თეთნულდის“ რისკების ანალიზი;
- ✓ სსიპ კოლეჯი „თეთნულდი“ პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის, სტატუსის მოპოვებისა და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი; (დამტკიცებულია სსიპ კოლეჯი „თეთნულდი“ დირექტორის 2026 წლის 27 მაისის ბრძანება № 02.30 ბრძანებით);
- ✓ „საგანგებო მართვის გეგმა“ - შემუშავებული სსიპ კოლეჯის ,,თეთნულდი“ საგანგებო შტაბის წევრების მიერ და დამტკიცებული სსიპ კოლეჯი ,,თეთნულდი“ დირექტორის მ/შ 2025 წლის 16 ივნისი, №02/62 ბრძანებით;
- ✓ კოლეჯის ვებგვერდი https://tetnuldi.edu.ge/;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4.2. შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
სსიპ კოლეჯ „თეთნულდში“ მოქმედი შეფასების სისტემის გამართულობისა და ავტორიზაციის სტანდატებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, დაწესებულებაში დანერგილია ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის ნაწილი — ვერიფიკაციის მექანიზმები. აღნიშნული მიმართულება რეგულირდება შიდა სამართლებრივი დოკუმენტით — „შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმები“, რომელიც შემუშავებულია მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე და დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 27 მაისის №02/32 ბრძანებით.
ექსპერტთა ჯგუფმა დეტალურად შეისწავლა და გააანალიზა „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მოქმედი მტკიცებულებები, კერძოდ: სასწავლო გეგმა, მოდულების ფარგლებში შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტები, სასწავლო და შეფასების უწყისები (მათ შორის, 09.06.2026 წლით დათარიღებული სტუდენტის შეფასების უწყისის ფორმა), რისკების რეესტრი, ვერიფიკაციის გეგმები, დასრულებული ფიზიკური და ელექტრონული მტკიცებულებების (სტუდენტთა ნამუშევრების) პორტფოლიოები, ვერიფიკაციის ოქმები და ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მონიტორინგის ანგარიშები.
აღნიშნული დოკუმენტაციის ანალიზისა და სასწავლო პროცესის მენეჯერთან, ხარისხის მენეჯერთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და სტუდენტებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ კოლეჯში მოქმედი მექანიზმები რეალურად უზრუნველყოფს შეფასების სისტემის შესაბამისობას ხუთ ძირითად კრიტერიუმთან:

- **ვალიდურობა:** კოლეჯში გამოყენებული შეფასების ყოველი ინსტრუმენტი რელევანტურია იმ კონკრეტული სწავლის შედეგის დადასტურებისათვის, რაც ფასდება. ინფორმაციის ტექნოლოგიის პროგრამის მოდულები ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული, რაც იძლევა სწავლის შედეგის კომპლექსურად შეფასების შესაძლებლობას მოდულით გათვალიწინებული ყველა კრიტერიუმის მიხედვით.
- **სანდოობა:** განხორციელებული შეფასების შედეგები ყოველთვის გამყარებულია სათანადო და მრავალფეროვანი მტკიცებულებებით, ხოლო შეფასების კრიტერიუმები გამორიცხავს სუბიექტურობას — შედეგები რჩება იდენტური, მიუხედავად იმისა, თუ ვინ და როდის აფასებს პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგებს.
- **გამჭვირვალობა:** შეფასების პროცესი, დადასტურების პირობები და მოთხოვნები წინასწარ არის ცნობილი სტუდენტებისათვის. სასწავლო განრიგი (ლექციებისა და შეფასებების ცხრილი), რომელსაც ადგენს სასწავლო პროცესის მენეჯერი, ითანხმებს დირექტორის მოადგილე და ამტკიცებს დირექტორი, ხელმისაწვდომია და საჯაროა კოლეჯში ყველა პროფესიული სტუდენტისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- **სამართლიანობა:** შეფასების პროცესი ორგანიზებულია იმგვარად, რომ სტუდენტს ეძლევა რეალური შესაძლებლობა, მისთვის ხელსაყრელ და რელევანტურ გარემოში (დრო, მასალები, აღჭურვილობა) დაადასტუროს სწავლის შედეგები, სადაც ყველა შესაფასებელი პირი ჩაყენებულია ერთნაირ პირობებში.
- **ობიექტურობა:** ყველა შესაფასებელი პირი ერთნაირი შესრულების პირობებში ფასდება აბსოლუტურად ერთნაირად და მიუკერძოებლად, რაც დასტურდება ექსპერტების მიერ გადამოწმებული შეფასების მტკიცებულებებისა და უწყისების საფუძველზე.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის დეტალური შესწავლისას ექსპერტთა ჯგუფმა გააანალიზა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმების განხორციელების შიდა პროცედურული კომპონენტები:

- **ვერიფიკაციის ჯგუფის მუშაობის სამართლებრივი და ორგანიზაციული საფუძვლები:** განხილულ იქნა ვერიფიკაციის სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი №1, მასზე თანდართული დანართი №1 (ვერიფიკაციის პროცესში შესასწავლი ერთეულები) და დანართი №2, რომელიც ასახავს ვერიფიკაციის დეტალურ გეგმას. აღნიშნული დოკუმენტები ადასტურებს, რომ კოლეჯში ვერიფიკაციის პროცესი არის სისტემური, წინასწარ დაგეგმილი და ეფუძნება კონკრეტულ კრიტერიუმებსა და შესასწავლ ერთეულებს.
- **შიდა მონიტორინგის და შეფასების შედეგები:** ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა ხარისხის მართვის მენეჯერის ვერიფიკაციის ანგარიში (21.05.2026) და „ინფორმაციული ტექნოლოგიების“ პროგრამის ვერიფიკაციის დასკვნა (განხორციელების პერიოდი: 15.05.2026 - 20.05.2026). აღნიშნული დოკუმენტები ნათლად აჩვენებს, რომ კოლეჯში რეალურად ხორციელდება შეფასების ინსტრუმენტებისა და შედეგების შიდა შემოწმება.
- **უკუკავშირი და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა:** შეფასების პროცესის მრავალმხრივი ანალიზის მიზნით, კოლეჯი იყენებს სტუდენტთა ფოკუს ჯგუფის კითხვარს (შეფასების პროცესის ვერიფიკაციის ნაწილში), რაც უზრუნველყოფს სტუდენტთა უკუკავშირის გათვალისწინებას. ასევე, წარმოდგენილი იქნა ადმინისტრაციის წევრებისა და პროფესიული მასწავლებლების სამუშაო შეხვედრის დასწრების ფურცელი, რაც მოწმობს, რომ ვერიფიკაციის შედეგების განხილვა ხდება კოლეგიალურად, დაინტერესებული მხარეების აქტიური მონაწილეობით.

წარმოდგენილი და დეტალურად შესწავლილი დოკუმენტაციის საფუძველზე დასტურდება, რომ სსიპ კოლეჯ „თეთნულდში“ პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა სრულად ითვალისწინებს ვერიფიკაციის ქმედით, გამჭვირვალე და ციკლურ მექანიზმს, ხოლო პროცესი ხორციელდება დადგენილი პროცედურებისა და გეგმის შესაბამისად. ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემა არ ატარებს მხოლოდ ფორმალურ ხასიათს და მასზე მუდმივად ხორციელდება ქმედითი რეაგირება. კერძოდ, ხარისხის მენეჯერის მიერ წარმოებული სასწავლო პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგისა და ვერიფიკაციის ოქმების საფუძველზე, ხარვეზის ან რისკის იდენტიფიცირების შემთხვევაში, ხდება შეფასების ინსტრუმენტების კორექტირება ან სასწავლო მასალების გადამუშავება. ამასთანავე, რეაგირების მექანიზმი პირდაპირ არის მიმართული სტუდენტთა მხარდაჭერაზე: საჭიროების შემთხვევაში, კოლეჯი ოპერატიულად უზრუნველყოფს სწავლის შედეგის მიღწევის განმეორებითი შეფასების ორგანიზებას. სასწავლო პროცესების მენეჯერი პირადად აკონტროლებს, რომ განმეორებითი შეფასებების დაგეგმვისას დაცული იყოს პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობები, დროის გონივრული შუალედები და პროფესიული სტუდენტის სავარაუდო კვირეული დატვირთვა.

ინდიკატორი 2.4. 2.1. დაკმაყოფილებულია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

მონიტორინგის ფარგლებში დეტალურად იქნა შესწავლილი და შეფასებული პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმები. კოლეჯში მოქმედი შეფასების სისტემის გამართულობისა და ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, დაწესებულებაში დანერგილია ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის კომპლექსური მიდგომა, რომელიც რეგულირდება ორი ძირითადი სამართლებრივი აქტით: სსიპ კოლეჯის „თეთნულდი“ დირექტორის 2026 წლის 27 მაისის №02/32 ბრძანებით დამტკიცებული „შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმებით“ და 2026 წლის 27 მაისის №02/31 ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტით „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და კვლევის მეთოდოლოგია“. დოკუმენტური ანალიზით დგინდება, რომ შემუშავებული წესი -„შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმებით“ - სრულად პასუხობს „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნებს. შემუშავებული მექანიზმები და არსებული მტკიცებულებები მკაფიოდ განსაზღვრავს, რომ პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა იყოს ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური. წესის მიხედვით, ვერიფიკაციის პროცესი ხორციელდება სამი ძირითადი მიმართულებით: უშუალოდ შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტების ვერიფიკაცია, შეფასების პროცესის ვერიფიკაცია და უკვე შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია. პროცედურულ ნაწილში პასუხისმგებლობები განაწილებულია: პროცესს ხელმძღვანელობს ხარისხის მართვის მენეჯერი, ხოლო რისკების პირველად ანალიზსა და მტკიცებულებების შეგროვებას ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი. უშუალო შემოწმებას ახორციელებს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ვერიფიკაციის ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტებულია განათლებისა და დარგის ვერიფიკატორებისგან. ინტერესთა კონფლიქტის პრევენციის მიზნით, ჯგუფში არ მონაწილეობენ ის პირები, ვინც ჩართული იყო ინსტრუმენტის შექმნასა თუ ვალიდაციაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ვერიფიკაცია ეფუძნება რისკებზე დაფუძნებულ მიდგომას. შემუშავებულია რისკების სპეციალური რეესტრი, რომელიც ითვალისწინებს როგორც განმახორციელებელთან (მაგ. დამწყები მასწავლებელი, საჩივრები), ისე შეფასების შედეგებსა და ინსტრუმენტებთან დაკავშირებულ რისკ-ფაქტორებს. რისკის დონის (დაბალი, საშუალო, მაღალი, კრიტიკული) შესაბამისად, განსაზღვრულია შესასწავლი ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების შერჩევის კონკრეტული პროცენტული მოცულობა (20%-დან 100%-მდე). პროცესი სრულდება ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ შევსებული დასკვნის ფორმების საფუძველზე. მათზე დაყრდნობით, ხარისხის მართვის მენეჯერი ადგენს საბოლოო ანგარიშს, რომელიც წარედგინება დირექტორს, ხოლო მიგნებები ინდივიდუალურად განიხილება მასწავლებლებთან და საჭიროების შემთხვევაში აისახება გაუმჯობესების გეგმაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დოკუმენტაციით განსაზღვრულია, რომ აღნიშნული პროცედურა თითოეული პროგრამის ფარგლებში, მის დასრულებამდე სულ მცირე ერთხელ მაინც ხორციელდება. მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში, ადგილზე დოკუმენტების გადამოწმებისა და ინტერვიუების საფუძველზე დადასტურდა, რომ აღნიშნული ვერიფიკაციის მექანიზმები და დანართი ფორმები (პროცესის ზოგადი სქემა, დასკვნის ფორმა და გეგმის ფორმა) პრაქტიკაში ეფექტიანად რეალიზდება.

ამასთანავე, „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებისა და კვლევის მეთოდოლოგიის“ მე-5 მუხლის („სასწავლო პროცესისა და საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება“) შესაბამისად, შეფასების სისტემის მდგრადობას აძლიერებს სასწავლო პროცესის შეფასების დამატებითი შიდა ინსტრუმენტები:

- ✓ **სასწავლო პროცესისა და შეფასების მონიტორინგი:** ხარისხის მართვის მენეჯერი და სპეციალისტი შერჩევითი პრინციპით ახორციელებენ სისტემურ დაკვირვებას უშუალოდ შეფასების პროცესზე, რაც ფიქსირდება შესაბამის ფორმაში (დანართი №1).
- ✓ **კალენდარული გეგმების შეფასება:** ხარისხის მართვის მენეჯერი პერიოდულად განიხილავს კალენდარულ გეგმებს (დანართი №2) და საჭიროებისას ახდენს თემატიკისა და შეფასების ინსტრუმენტების დახვეწის ინიცირებას.
- ✓ **დაინტერესებული მხარეების გამოკითხვები:** წელიწადში ორჯერ ხორციელდება პროფესიული სტუდენტებისა და მასწავლებლების გამოკითხვა შეფასების ხარისხის, გარემოსა და რესურსების თაობაზე, რასაც ემატება კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა პერიოდული ანკეტირება.

წარმოდგენილი და დეტალურად შესწავლილი დოკუმენტაციის (მათ შორის პროფესიულ სტუდენტთა კვლევა) საფუძველზე დასტურდება, რომ სსიპ კოლეჯ „თეთნულდში“ პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა სრულად ითვალისწინებს ვერიფიკაციის ქმედით, გამჭვირვალე და ციკლურ მექანიზმს, ხოლო პროცესი ხორციელდება დადგენილი პროცედურებისა და გეგმის შესაბამისად.

ინდიკატორი 2.4.2.2. დაკმაყოფილებულია;

3.პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეფასების პროცესთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციისა და მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვისა და არქივირების საკითხები მკაფიოდ არის დარეგულირებული შიდა სამართლებრივ დოკუმენტში — კოლეჯი „თეთნულდის“ პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესში. დადგენილი რეგულაციის შესაბამისად, შეფასების მტკიცებულებების სისტემატიზაცია,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღრიცხვა და შენახვა უზრუნველყოფილია სასწავლო პროცესის მართვის სამსახურში, შეფასების შესაბამისი უწყისის გაფორმებიდან 3 (სამი) წლის ვადით. აღნიშნული ვადის გასვლის შემდგომ, სტუდენტთა მიერ სწავლის შედეგების მიღწევის თაობაზე შედგენილი ძირითადი უწყისები დადგენილი წესით გადაეცემა დაწესებულების არქივს, სადაც მათი შენახვა ხორციელდება უვადოდ (მუდმივად).

მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ ადგილზე დეტალურად გადამოწმდა შეფასების მტკიცებულებებისა და უწყისების ფაქტობრივი შენახვისა და აღრიცხვიანობის პრაქტიკა. მატერიალური და ელექტრონული ბაზების შესწავლის შედეგად დადასტურდა, რომ დაწესებულებაში მონაცემთა დაცულობისა და არქივირების პროცესი სრულად შეესაბამება კოლეჯის შიდა რეგულაციების მოთხოვნებსა და კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებს, რის საფუძველზეც აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა სრულ შესაბამისობაში.

ინდიკატორი 2.4.2.3. დაკმაყოფილებულია;

4.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები მიზნობრივად და ეფექტიანად გამოიყენება როგორც თითოეული სტუდენტის ინდივიდუალური მხარდაჭერისთვის, ისე საგანმანათლებლო პროგრამის მუდმივი განვითარებისა და სრულყოფისთვის. მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და სტუდენტებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადასტურდა, რომ მოდულის განმახორციელებლები სასწავლო პროცესში რეგულარულად იყენებენ განმავითარებელ შეფასებას. პედაგოგების მხრიდან მუდმივად ხორციელდება კონსტრუქციული და დეტალური უკუკავშირი თითოეული შეფასების შედეგის შემდგომ, რაც სტუდენტებს ეხმარება საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირებასა და სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაში. კოლეჯი უზრუნველყოფს ეფექტიანი სასწავლო გარემოს შექმნას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით, რაც რეგულირდება „ჩარიცხვისა და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“. გამოკვეთილი საჭიროებების შესაბამისად, კოლეჯში მოქმედებს სტუდენტთა მხარდაჭერის მოქნილი მექანიზმები, კერძოდ:

- ✓ **საკონსულტაციო შეხვედრები და ინდივიდუალური მეცადინეობის სერვისი:** პროფესიულ სტუდენტს ან სტუდენტთა ჯგუფს უფლება აქვს, წერილობითი განცხადების საფუძველზე, ისარგებლოს ინდივიდუალური მეცადინეობის სერვისით. აღნიშნულს ორგანიზებას უკეთებს სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროცესის მენეჯერი, თუ სტანდარტული სასწავლო დატვირთვა არ აღმოჩნდა საკმარისი სწავლის შედეგების დასადასტურებლად ან შეფასების წინ საჭიროა დამატებითი კონსულტაცია.

- ✓ **ინდივიდუალური სასწავლო გეგმა:** კოლეჯს დეტალურად აქვს აღწერილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცედურა სპეციფიკური საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის.
- ✓ **მოქნილი რეაგირება შიდა პროცესებზე:** დაწესებულების ორიენტაცია სტუდენტის ინტერესებზე დასტურდება პრაქტიკული მაგალითებითაც, როგორიცაა სტუდენტთა მოთხოვნით ჯგუფის შეცვლის მექანიზმი, მობილობის უფლების რეალიზება და პროგრამის შესაძლო გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მყარი გარანტიები.

მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას იმას, რომ შეფასების შედეგები არ შემოიფარგლება მხოლოდ სტუდენტისთვის ნიშნის/სტატუსის მინიჭებით, არამედ წარმოადგენს ხარისხის მართვის მთავარ ინსტრუმენტს პროგრამის განვითარებისათვის. კოლეჯი ახორციელებს სასწავლო პროცესისა და შეფასების შედეგების მუდმივ მონიტორინგსა და კომპლექსურ ანალიზს, რის საფუძველზეც ხორციელდება შემდეგი სისტემური ცვლილებები:

- ✓ **შეფასების ინსტრუმენტების ცვლილება:** თუ შეფასების შედეგების ანალიზი (ან ვერიფიკაციის პროცესი) აჩვენებს, რომ კონკრეტულ მოდულში სტუდენტთა უმრავლესობას გაუჭირდა სწავლის შედეგის დადასტურება, ხარისხის მენეჯერი და მოდულის განმახორციელებელი გადასინჯავენ შეფასების ინსტრუმენტის ვალიდურობას და ახდენენ მის კორექტირებას/გამარტივებას სტუდენტისთვის უფრო აღქმადი ფორმით.
- ✓ **სწავლების მეთოდების ცვლილება:** შეფასების შედეგებზე დაყრდნობით, პედაგოგები ახდენენ საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის რეფლექსიას. თუ შედეგები მიუთითებს კონკრეტული უნარის ათვისების სირთულეზე, მასწავლებლები ცვლიან სწავლების სტრატეგიას — თეორიულ ფორმატს ანაცვლებენ მეტი პრაქტიკული სავარჯიშოთი, ქეისებით ან სიმულაციებით.
- ✓ **მოდულების კორექტირება:** სტუდენტთა აკადემიური მოსწრების დინამიკის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, დღის წესრიგში დგება მოდულების განხორციელების გეგმების კორექტირება, მაგალითად: საათობრივი განაწილების ოპტიმიზაცია, თემების თანმიმდევრობის ლოგიკური გადაწყობა ან სწავლის შედეგებს შორის შუალედების გაზრდა.
- ✓ **რესურსების გაუმჯობესება:** შეფასების პროცესში გამოვლენილი მატერიალურ-ტექნიკური თუ საინფორმაციო ხარვეზები (მაგ. პროგრამული უზრუნველყოფის ვერსიის შეუსაბამობა, ლიტერატურის სიმწირე) ხდება საფუძველი კოლეჯის ადმინისტრაციის მხრიდან მატერიალური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რესურსების განახლების, სასწავლო გარემოს გაუმჯობესებისა და დამატებითი ილუსტრირებული თუ ციფრული მასალების შესყიდვა/შემუშავებისთვის.

ამრიგად, კოლეჯში დანერგილი ვერიფიკაციისა და შეფასების სისტემები, სასწავლო პროცესის მუდმივი მონიტორინგი და პროფესიულ სტუდენტებთან ეფექტური უკუკავშირი ქმნის საფუძველს იმისათვის, რომ შეფასების შედეგები მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული როგორც სტუდენტთა, ისე საგანმანათლებლო პროგრამის უწყვეტი ინსტიტუციური განვითარებისათვის.

ინდიკატორი 2.4.2.4. დაკმაყოფილებულია;

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- ✓ სსიპ კოლეჯი „თეთნულდის “ დირექტორის 2026 წლის 22 მაისი ბრძანება № 02.27 „გაუმჯობესების გეგმის დამტკიცების შესახებ“;
- ✓ ხარვეზების აღმოფხვრის და გაუმჯობესების გეგმა;
- ✓ სსიპ კოლეჯი „თეთნულდის “ დირექტორის 2026 წლის 14 მაისი ბრძანება № 02.25 ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნის შესახებ;
- ✓ სსიპ კოლეჯი „თეთნულდის“ შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმები“-დამტკიცებული სსიპ კოლეჯი „თეთნულდის“ დირექტორის 2026 წლის 11 მაიისის ბრძანება № 02/24 ; ცვლილება განხორციელდა 2026 წლის 27 მაისს ბრძანება № 02/32);
- ✓ სსიპ კოლეჯიო „თეთნულდის“ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და კვლევის მეთოდოლოგია“-დამტკიცებული სსიპ კოლეჯ „თეთნულდის“ დირექტორის 2026 წლის 27 მაისი № 02/31 ბრძანებით);
- ✓ სსიპ კოლეჯი „თეთნულდის “ „პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მარეგულირებელი წესი“-დამტკიცებული სსიპ კოლეჯი „თეთნულდი “ დირექტორის 2026 წლის 27 მაისი ბრზანება № 02/30);
- ✓ „პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მარეგულირებელი წესი“;
- ✓ სსიპ კოლეჯი „თეთნულდის “ ვერიფიკაციის სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი № 1;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ✓ სსიპ კოლეჯი „თეთნულდის “ ვერიფიკაციის ჯგუფის სამუშაო შეხვედრის ოქმის (დანართი 1) ვერიფიკაციის პროცესში შესასწავლი ერთეულები;
- ✓ სსიპ კოლეჯი „თეთნულდის “ ვერიფიკაციის ჯგუფის ოქმი (დანართი № 2) -ვერიფიკაციის გეგმა;
- ✓ სსიპ კოლეჯი „თეთნულდის “შეფასების უწყისის ფორმა (09.06.2026);
- ✓ სსიპ კოლეჯი „თეთნულდის “ სამუშაო შეხვედრის დასწრების ფურცელი დაწესებულების ადმინისტრაციის წევრებისა და პროფესიული მასწავლებლებლებისთვის ვერიფიკაციის შედეგების განხილვის შესახებ;
- ✓ სსიპ კოლეჯი „თეთნულდის “ ხარისხის მართვის მენეჯერის ვერიფიკაციის ანგარიში (21.05.2026);
- ✓ პროგრამის „ინფორმაციული ტექნოლოგიები“ ვერიფიკაციის დასკვნა (განხორციელების პერიოდი:15.05.2026-20.05.2026)
- ✓ ფოკუს ჯგუფის კითხვარი სტუდენტებისთვის შეფასების პროცესის ვერიფიკაციის ნაწილში;
- ✓ სსიპ კოლეჯი „თეთნულდის “რისკების ანალიზი (შეთანხმებული ხარისხის მართვის მენეჯერთან- 13.05.2026)
- ✓ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა (24.06.2026);
- ✓ პროფესიული სტუდენტების კითხვარი;
- ✓ კურსდამთავრებულების კითხვარი;
- ✓ სსიპ კოლეჯი „თეთნულდის“ რისკების ანალიზი (შეთანხმებული ხარისხის მართვის მენეჯერთან-13.05.2026);
- ✓ კოლეჯის ვებგვერდი https://tetnuldi.edu.ge/;
- ✓ გასაუბრების შედეგები;

შეფასების სისტემის ვერიფიკაციის შედეგები;

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

  ■ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი VI. თანდართული დოკუმენტაცია
დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

16.07.2026
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: